ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისა“-ს თავმჯდომარის 2020 წლის ანგარიში

2010 წლიდან დღემდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის პროექტისთვის შემოწირულობა გაიღო 78,000 ადამიანმა. მათ მიერ მოხსენიებული ცოცხალი და გარდაცვლილი ადამიანების საერთო რაოდენობა კი 1,122,000-ია. თითოეული მათგანი, პატრიარქის კურთხევით, ტაძრის აღმშენებლად-ქტიტორად მოიხსენიება. ინფორმაცია აღმშენებლების შესახებ განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე: www.iveriisa.ge .

2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოწირული თანხის ოდენობამ შეადგინა 1,050,705 ლარი. სულ 2010-2020 წლებში 24,480,110 ლარია შემოსული. აქედან დაახლოებით 10% დაიხარჯა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, ძირითადი თანხა კი მშენებლობას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელონად არის შემცირებული შემოწირული თანხების ოდენობა, თუკი საშუალო თვიური შემოსავლების დინამიკა პირველ წლებში შეადგენდა დაახლოებით 250,000 ლარს, 2020 წელს ეს რიცხვი იყო 80,000 ლარი.

2020 წელს შემოსული თანხიდან (1,050,705 ლარი) ტაძრის მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის დაიხარჯა 610,662 ლარი (579,403 ლარით დაიფარა 2017-2018 წლებში შესრულებული სამუშაოებისთვის აღებული სესხის ნაწილი); ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა 164,747 ლარი; 116,741 ლარი მოხმარდა ტაძრის ფუნქციონირების მიმდინარე საჭიროებებს, როგორიცაა ტაძრის კომუნალური ხარჯები, მათ შორის ელექტროენერგიისა და წყლის; დაცვის სამსახურის, ტაძრის პერსონალის ხელფასი; საკომუნიკაციო და სხვ. ხარჯები; საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობის მიზნებისთვის გამოიყო 39,697 ლარი; საგანმანათლებლო ხარჯმა შეადგინა 16,806 ლარი. სულ 2010 – 2020 წლებში დახარჯულია - 24,203,736 ლარი.

2020 წელს, მსესხებელი კომპანიის კეთილი ნებით, საზოგადოებას ჩამოეწერა 2017-2019 წლებში შესრულებული სამუშაოებისთვის აღებული სესხის დარჩენილი თანხა 650,000 აშშ დოლარის (2,026,161.30 ლარი) ოდენობით. შესაბამისად, 2021 წლის იანვრის მდგომარეობით საზოგადოებას სესხი აღარ აქვს.

დაწყებული 2012 წლიდან ყოველწლიურად კეთდება ჩვენი შემოსავლებისა და ხარჯების აუდიტი. ჩვენს ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2016-2020 წლების აუდირებული ფინანსური უწყისები.

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი მახათას მთაზე

სამშენებლო სამუშაოები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II ის ლოცვა-კურთხევით, მახათას მთაზე დაიწყო ღვთისმშობლის სავანის კომპლექსის მშენებლობის მეორე ეტაპი, რაც ითვალისწინებს, მონასტრისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, თანამედროვე და უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრ-მუზეუმის მშენებლობას.

გლობალური პანდემიით შექმნილი პრობლემების მიუხედავად, მახათას მთაზე მშენებარე ღვთისმშობლის სავანის კომპლექსში სამუშაოები არ შეჩერებულა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაიწყო მუშაობა მღვდელთმსახურთა სახლის პროექტზე; მიმდინარეობს ტაძრის შიდა და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა;

ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით და დაფინანსებით დასრულდა ცენტრალური მაგისტრალიდან ტაძრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა და შესაბამისად გზაზე გარე განათების დამონტაჟება.

გზის მოწყობის სამუშაოები

სამრეკლო

ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო დრენაჟის ქსელი და სანიაღვრე კოლექტორი. დაიწყო მუშაობა ღვთისმშობლის ტაძრის შიდა ხის კარებზე; ტაძრის შიგნით დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა.

ივერიის ღვთისმშობლოს ხატის სახელობის ტაძარი - სავენტილაციო სისტემა.

დასრულდა ტაძრის გუმბათის სპილენძით გადახურვის გამაგრების სამუშაოები.
დასრულდა ტაძრის ცენტრალური და გვერდითი კარების ორნამენტული დეტალებით შემოსვის სამუშაოები.



ტაძრის მთავარი კარი

ტაძრის გვერდითი კარი

შეხვედრები საზოგადოებასთან

გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წელს „საზოგადოება ივერიისა"–ს მიერ დაგეგმილი აქტივობები შეიცვალა. ოფისი გადავიდა მუშაობის ონლაინ რეჟიმზე და მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის კომპლექსის მშენებელობის პროექტში ჩართულ ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა გაგრძელდა ონლაინ რეჟიმში.

„საზოგადოება ივერიისა"-ს თანამშრომლების მიერ ყოველდღიურად ხდებოდა ორგანიზაციებთან კომუნიკაცია და მათთვის პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.



ონლაინ-შეხვედრა „საერთაშორისო ქართული სკოლი"-ს დამფუძნებელთან ქეთი დოჩანაშვილთან. 25.11.2020

ასევე, სისტემატიურად ივსება და რედაქტირდება ღვთისმშობლის სავანის აღმშენებელთა ბაზა.

ღვთისმშობლის ტაძრის შიდა სივრცე

მრევლთან მუშაობა

მახათას პროექტში საქართველოს მოსახლეობის გაერთიანების მნიშვნელობიდან გამომდინარე „საზოგადოება ივერიისა“ თანამშრომლობს საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილებასთან, რათა ეკლესიასა და მრევლს შორის, საპატრიარქოსა და მრევლს შორის უფრო მჭიდრო და უშუალო კომუნიკაცია შედგეს.

„საზოგადოება ივერიისა“ ცდილობს მეტი ინტენსიობით წარმოაჩინოს და გააშუქოს ამ პროექტისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის მნიშვნელობა.

„საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით მშენებლობის ლოცვითი შეწევნის მიზნით, მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოებისა და მრევლის მონაწილეობით, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში ყოველდღიურად აღევლინება საღმრთო ლიტურგია (2020 წლის განმავლობაში დაახლოებით ასორმოცდაათი ტაძრის სამღვდელოებამ და მრევლმა მიიღო მონაწილეობა).

ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 21. 04. 2020 წელი

ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 21. 04. 2020 წელი

თანამშრომლობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან

2020 წლის 25 ივნისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და „საზოგადოება ივერიისა“-ს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოს მონაწილეობით მიმდინარე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ქრისტიანულ სარწმუნოებასთან კავშირში არსებული ეროვნული საგანძურის ფუნდამენტური პროგრამის მზადებისა და განხორციელების პროცესის ფარგლებში მხარეთა თანამშრომლობა.

მემორანდუმით განისაზღვრა თანამშრომლობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

- მუზეუმში განთავსებული ეროვნული საგანძურის შენახვა და მოვლა-პატრონობა;
- ეროვნული მემკვიდრეობის შენახვისა და მოვლა-პატრონობის პროცესის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება;
- საგანძურში დაცული არტეფაქტების სამეცნიერო კვლევა და მათი მეშვეობით ეროვნული ფასეულობების საკომუნიკაციო პროგრამების შემუშავება.

ეროვნულ მუზეუმთან შეთანხმებით, „საზოგადოება ივერიისა“ ჩაერთვება ეროვნულ მუზეუმში განთავსებული ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. საზოგადოება უზრუნველყოფს საგანძურის მოვლა-პატრონობისა და შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებას მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (შეხვედრები საჯარო სივრცეში, ორგანიზაციებთან და ინდივიდუალურ ჯგუფებთან); ასევე, სახსრების მოზიდვის საზოგადოებრივი კამპანიის მეშვეობით, ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებაში მონაწილეობას.

ღვთისმშობლის სავანე მახათას მთაზე
ავტორი: ომარ ნაფეტვარიძე